საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის - ლიანა კაჟაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის წორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

სახელი, გვარი:

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
თარიღი : 31.07.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ლიანა კაჟაშვილის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაწყებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში კანდიდატ ლიანა კაჟაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

1. **კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით.**

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

კერძოდ, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ლიანა კაჟაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ლიანა კაჟაშვილის შეფასება დაეყრდნო სხვადასხვა უწყებიდან მის შესახებ გამოთხოვილ შემდეგი სახის ინფორმაციას: შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა მოწაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; ანტიკორუფციული ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე. გარდა აღნიშნულისა, ლიანა კაჟაშვილის დახასიათების

მიზნით მასთან სამსახურებრივ ან/და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან მიღებული იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები და კითხვარები. ამასთან, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ლიანა კაჟაშვილის შეფასებისას ასევე გავითვალისწინე მის მიერ შევსებულ განაცხადში მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის პროცესში უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი თვისებები.

კანდიდატის **<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>** მახასიათებლის თაობაზე უნდა ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მას ახასიათებენ დადებითად და უთითებენ კანდიდატის პატიოსნებაზე, კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობასა და სხვა პოზიტიურ თვისებებზე. გამოკითხულ რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ამდენად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ლიანა კაჟაშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება, სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და შესაფასებელ პერიოდშიც არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა.

<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის</u> მიხედვით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მივიღე ის გარემოება, რომ გამოკითხული რესპოდენტები (რეკომენდატორები და კანდიდატთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები) ლიანა კაჟაშვილს აფასებენ როგორც პიროვნულად მყარ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა სხვათა ინტერესების გათვალისწინების უნარითა და სიმართლისმოყვარეობით.

რაც შეეხება კანდიდატის პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, დადგენილია რომ კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ლიანა კაჟაშვილი თავდაჭერილია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული და კორექტული. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ არის დაწყებული. გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, ლიანა კაჟაშვილი სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. აგრეთვე, ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში არ იძებნება ინფორმაცია საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მივიღე, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები დადებითად აფასებენ ლიანა კაჟაშვილის როგორც პიროვნულ თვისებებს, ასევე მის პროფესიულ მიღწევებს. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედი-

ასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ლიანა კაჟაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია მის პროფესიულ, მათ შორის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელს რაც შეეხება,</u> ლიანა კაჟაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მას აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ გააჩნია და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრშიც რეგისტრირებული არ არის.

ამდენად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ითვალისწინებით მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მოცემული კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ლიანა კაჟაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატი ლიანა კაჟაშვილი, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.

კერძოდ, ორგანული კანონის შესაბამისად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ლიანა კაჟაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის შემდეგი მახასიათებლები: სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის - ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების შესწავლით მიღებულ ინფორმაციასა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კერძოდ,

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე საჯარო მოსმენის დროს მის მიერ გამოვლენილი მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების სამართლის ცოდნის დონე. აგრეთვე, გავითვალისწინე კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში შესაბამისი სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე.

ლიანა კაჟაშვილის საჯარო მოსმენა გაიმართა 2025 წლის 29 აპრილს, რა დროსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა. შეფასების პროცესში ასევე შესწავლილი იქნა ლიანა კაჟაშვილის მიერ განხილულ საქმეებზე მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 10 იანვრის №2/34851-21 გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 25 მაისის №2/20554-21 გადაწყვეტილება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების შესწავლისა და საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ლიანა კაჟაშვილი კარგად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. მას აქვს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. მისი პასუხები განმტკიცებული იყო პრაქტიკული გამოცდილებით და ეროვნული სასამართლო პრაქტიკით. კანდიდატმა დასმულ საკითხებზე ძირითადად დააფიქსირა არგუმენტირებული და დასაბუთებული პასუხები.

კანდიდატის **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u>** დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ლიანა კაჟაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის ოთხწლიანი გამოცდილება. მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დამაჯერებელია. გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდიდატის მოსაზრებები სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო არის კვალიფიციური და დასაბუთებული.

<u>წერის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ლიანა კაჟაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შედგენილია გასაგები ენით. დასაბუთებისას კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს, მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. ამდენად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ლიანა კაჟაშვილი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ლიანა კაჟაშვილი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. კანდიდატმა საჯარო მოსმენაზეც თანმიმდევრულად, დამაჯერებლად და ლოგიკურად გადმოსცა საკუთარი აზრი.

<u>პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით</u> შეიძლება ითქვას, რომ ლიანა კაჟაშვილი მიზანდასახული, საქმისადმი ერთგული, ემოციურად გაწონასწორებული, თავშეკავებული და კეთილსინდისიერი პიროვნებაა. ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე აგრეთვე საქმეთა განხილვის შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 95% შემთხვევაში. მასვე საქმეთა 100% შემთხვე-

ვაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 88,4% შემთხვევაში. კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (966 დღეში) დასრულებული აქვს 235 საქმე (დღეში საშუალოდ 0,2 საქმე).

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.

შესაბამისად მიმაჩნია, რომ ლიანა კაჟაშვილი სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებს წარმატებით და კეთილსინდისიერად.

<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით</u> კანდიდატის შეფასებისას მივიღე მხედველობაში, რომ ლიანა კაჟაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. ასევე ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდები. კანდიდატს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. კანდიდატი აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში. ამასთან, კანდიდატი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

<u>პროფესიული აქტივობის</u> შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ლიანა კაჟაშვილი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

ლიანა კაჟაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: 2023 წლის 1-2 აპრილი, ახალციხე, ევროპის საბჭოს ოფისთან (CoE) თანამშრომლობით ევროპის სოციალურ ქარტიასთან დაკავშირებით მოსამართლეებისათვის გამართული სემინარი; 2023 წლის 28-30 ივნისი, კომპლექსი „ლოპოტა", სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა; 2023 წლის 15-16 ივლისი, კახეთი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის" (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები" და სხვა.

კანდიდატი ამჟამად არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა 2017-2021 წლებში სსიპ „ადვოკატთა ასოციაციაში" იყო ტრენერი თემებზე: „ადმინისტრაციული სამართალი ადვოკატებისათვის", სსიპ ადვოკატთა ასოციაციისა და ევროკავშირის პროექტი „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემის განვითარების მხარდაჭერა საქართველოში" ორგანიზებული პროექტი; „ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსება და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები: კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ", სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და UNDP ერთობლივი პროექტი.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ **ლიანა კაჟაშვილის** მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **90** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 31.07.2025